„Ertad“ არის შვეიცარიასა და საქართველოში დაფუძნებული არასამთავრობო ორგანიზაცია. პროექტების ძირითადი ნაწილი ხორციელდება წალენჯიხის მუნიციპალიტეტში. ორგანიზაციის მიზანია ხელი შეუწყოს მოზარდებს კარგი სასკოლო, პროფესიული და საუნივერსიტეტო განათლების მიღებაში, რათა მომზადებულები შეხვდნენ პროფესიულ ცხოვრებას. ორგანიზაცია ახორციელებს გაცვლით სასწავლო პროექტებს ორივე ქვეყანაში, ასევე ტრენინგ ციკლებს მოსწავლეებისათვის და პედაგოგებისათვის ქ. ჯვარში. ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან მცირე პროექტების ინიცირება. ამჯერად, კვლევის პროექტის ფარგლებში, რომელიც ხორციელდება გერმანელ მოხალისეებთან ერთად, ვაცხადებთ **კონკურსს**

მკვლევარი სტაჟიორის

პოზიციაზე:

სტაჟიორები ჩაერთვებიან კველევის განვითარებისა და შესრულების პროცესში. კვლევა ფოკუსირებული იქნება წალენჯიხის რაიონში მცხოვრები მოზარდების დამოკიდებულებაზე მომავალ საგანმანათლებლო და მათ კარიერულ შესაძლებლობებზე. კვლევის ამოცანები მოიცავს კონცეპტუალიზაციის, კითხვარის დიზაინსა და მონაცემთა შეგროვებას. პროექტი განხორციელდება წალენჯიხის მუნიციპალიტეტში, ქ. ჯვარი, (სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი).

სტაჟირების დრო: ივლისი - აგვისტო, 2017 წელი. (ზუსტი თარიღები ჯერ არ არის დაგეგმილი). ამ პოზიციის სტაჟიორმა შესაძლებელია თარჯიმნის ფუნქციაც შეითავოს.

მოთხოვნები:

- სოციოლოგიის ან მასთან გათანაბრებული დისციპლინის სტუდენტი (ბაკალავრი ან მაგისტრატურა).
- კვლევის მეთოდოლოგიის საბაზისო ცოდნა.
- თვისობრივ კველვაში მონაწილეობის ინტერესი. მონაცემთა შეგროვებისა და დამუშავების გამოცდილება.
- უცხო ენა (ინგლისური) - თავისუფლად. (სალაპარაკო და წერილობითი უნარები).

მიიღებთ:

- სოციალური კვლევის გამოცდილების მიღების შესაძლებლობა.
- სამუშაო შეხვედრები და ტრენინგი თვისობრივი კვლევის მეთოდოლოგიაში.
- დინამიური, ინტერდისციპლინარული და საერთაშორისო გუნდური ატმოსფერო.
- უფასო საცხოვრებელი და მგზავრობის ხარჯების ანაზღაურება.
- სტაჟირების დასასრულს, ცნობა შესრულებული სამუშაოს შესახებ.
- ანაზღაურება 50 ლარი (კვირაში).

დაინტერესებულმა პირებმა გამოაგზავნეთ აპლიკაცია ინგლისურ ენაზე (სამოტივაციო წერილი და CV), PDF ფორმატით არაუგვიანეს 11 ივნისისა, 2017 წელი.
ელ-ფოსტა: ertad.gemeinsam@gmail.com